ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

აქტი:ა62.01192543
თარიღი:11/09/2019
პინი:6762
გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

მინდობილობა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ს თანამშრომელს გოჩა ლაცაბიძეს (პირადი # 35001021891), შემდგომში „რწმუნებულს'' ენიჭება შემდეგი უფლებამოსილება:

1. იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და/ან არაქონებრივ ინტერესებს და საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს შესაბამის საქმეს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, წარმოადგენს მარწმუნებელს ყველა სახელმწიფო ორგანოში და დაწესებულებაში, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, სააღსრულებო ფურცლის წარდგენის უფლებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოში და სადაზღვევო კომპანიებში.

2. მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციებს, მათ შორის ხელშეკრულებებს, გამოითხოვოს მასალები და დოკუმენტები, წარადგინოს სარეგისტრაციო დოკუმენტები, განცხადებები, აწარმოოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები, აწარმოოს საქმე არბიტრაჟში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ისარგებლოს სამსახურებრივი ბარათით, რათა გადაიხადოს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული გადასახდელები.

3. ისარგებლოს ყველა იმ უფლებამოსილებით, რომელიც მხარეს (ან მესამე პირს) მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, კერძოდ:

ა) მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი (შეგებებული სარჩელი, კერძო საჩივარი) სასამართლოში, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს შეპასუხება და მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ, ან მთლიანად სცნოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით.

ბ) გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება); შეიტანოს საჩივარი სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, აწარმოოს საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში;

გ) შეცვალოს სარჩელის (შეგებებული სარჩელის) საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს, ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა; დაამთავროს საქმე მორიგებით.

დ) ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით.

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით შეასრულოს ყველა მოქმედება სასამართლოს გადაწყვეტილების და/ან გადახდის ბრძანების აღსრულებისათვის.

5. შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება მოცემული მინდობილობის შესრულებასთან.

6. მინდობილობა ძალაშია 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით..

ლევან ჯღარკავა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-დირექტორი



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი